ხაშურის მოამბე

№17(341) 11 მაისი, ოთხშაბათი, 2022 წელი

12 მაისი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის დღეა

მართლმადიდებელი ეკლესია დღეს საქართველოს განმანათლებლის, წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს აღნიშნავს. 12 მაისი მისი საქართველოში შემოსვლის დღეა. დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე სიონის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში პარაკლისს გადაიხდის.

წმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული წმინდა პეტრე მოციქულის ძმა იყო. უფალმა მოციქულთა შორის პირველად ანდრიას მოუწოდა, ამიტომაც მას პირველწოდებული ეწოდა.საქართველოში წამოსვლამდე მას ღვთისმშობელმა მოუწოდა და ამცნო, რომ წმინდა ანდრიას მის წილხვედრ ქვეყანაში უნდა ექადაგა. წმინდა ანდრიას ხსენებას საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ორჯერ აღნიშნავს. 12 მაისს წმინდა მოციქულის საქართველოში შემოსვლის დღე აღინიშნება, 13 დეკემბერს კი მისი გარდაცვალება.

12 მაისი საქართველოში უქმე დღედ არის გამოცხადებული.

ლიეტუვის ელჩი ხაშურში

ანდრიუს კალინდრამ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან თენგიზ ჩიტიაშვილთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანთან.

ხაშურის მუნიციპალიტეტს პარტნიორული ურთიერთობა აქვს ლიეტუვის ქალაქ რადვილიშკისთან. ლიეტუვის საელჩოს მხარდაჭერით ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში არაერთი პროექტია განხორციელებული.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს ქვეყნებსა და მუნიციპალიტეტებს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობას განვითარებისთვის და

აღინიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი

ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით,ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელმა პირებმა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ხაშურის საპატიო მოქალაქე, ღვაწლმოსილი პედაგოგი ნინო ქურდაძე მოინახულეს, ყვავილებთან ერთად სიმბოლური საჩუქრები გადასცეს და ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრება უსურვეს.

ხაშურის მუნი-ციპალიტეტის მერის მოადგილემ ზვიად ქურდაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირვ-ელმა მოადგილემ ლევან გამრეკელმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ცოტნე ნოზაძემ,საკრებულოს წევრმა მერაბ ცხოვრებაძემ, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებმა, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში გამართული ღონისძიება, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად - 1 000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 500 ლარს მიიღებენ. გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისთვის, ფულადი ჯილდო გათვალისწინებული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის თანახმადაც.

ხაშურში ამერიკული სამხედრო ჯაზბენდის „Rhine River Ramblers" კონცერტი გაიმართა

კონცერტი, რომელსაც ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, აშშ საელჩოს, მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, პარლამენტის წევრის ბიუროს და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები დაესწრნენ, აშშ - საქართველოს

დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავის აღსანიშნავად და უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად ჩატარდა.

საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ნინო ლიპარტელიანმა და აშშ საელჩოს წარმომადგენელმა შონ კელიმ. ხაზგასმით აღინიშნა პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობის მნიშვნელობა, რაც აშშ-სა და საქართველოს

შორის არის დამყარებული და დღითიდღე ვითარდება.

ჯაზის ცნობილ კომპოზიციებთან ერთად, ქვეყნებს შორის პარტნიორობის აღსანიშნავად და უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად შესრულდა აშშ-ს, საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნები.

კონცერტი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით და ხაშურის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში არსებული ამერიკული სივრცის ორგანიზებით ჩატარდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

5 მაისს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგით 7 საკითხი იყო გათვალისწინებული.

საკრებულომ დაამტკიცა განკარგულებების პროექტები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხაშურსერვისის" რეორგანიზაციის (შიდა სტრუქტურის ნაწილობრივი ცვლილება, შტატების შემცირება/გადაადგილება) დაწყების თაობაზე და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყლისა და გამწვანების კომპანიის" დაფუძნებაზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. საკითხს მოჰყვა კამათი და მსჯელობა, რაზეც განმარტებები გააკეთეს მერიის სამსახურების წარმომადგენლებმა.

პრეზენტაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების პრივატიზაციის გეგმის შესახებ წარმოადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა სერგო ლალიაშვილმა.

საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ა(ა)იპ „ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის" (ს.კ 243918098) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 69.08.21.280.01.501) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხს.

აგრეთვე მოისმინეს და დადებითად შეაფასეს მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის შოთა კუჭაიძის ანგარიში 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

სოფლების ვაყისა და ტკოცის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა აქტიურ ფაზაშია

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან, თენგიზ ჩიტიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანთან ერთად, სოფელ ვაყისა და ტკოცის დამაკავშირებელი გზის მიმდინარე პროექტი მოინახულა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - სოფელ ვაყიდან სოფელ ტკოცამდე გზის მოასფალტება მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულება 3 876 502 ლარს შეადგენს.

''აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რადგან სარეაბილიტაციო მონაკვეთი წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი მნიშვნელობის გზას, რომელიც აკავშირებს სოფელ ვაყას სოფელ ტკოცასთან. ასევე ამ ორ სოფელს შორის მდებარეობს სოფელი ფლევი და სამივე სოფელი არის მჭიდროდ დასახლებული, ამიტომაც მოსახლეობისთვის ეს გზა არის ერთ-ერთი პრიორიტეტული." -ზაალ დუგლაძე

სურამში, ჩუმათელეთის დასახლებაში, სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

„ჩუმათელეთი მჭიდროდ დასახლებული ადგილია, ზაფხულობით ბევრი დამსვენებელი სტუმრობს, ამიტომ როგორც ადგილობრივების, ისე სტუმრების ინტერესების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ დასასვენებელი სივრცე მოგვეწყო. აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე დამონტაჟდა გარე გამოყენების ტრენაჟორები, მოეწყო საბავშვო ატრაქციონების სკვერი, ამჟამად მიმდინარეობს გარე პერიმეტრის შემოღობვა, დაიგება ქვაფენილი, დაიდგმება დასასვენებელი სკამები, დამონტაჟდება სანაგვე ურნები, გაკეთდება განათება."-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ასევე,ადგილზე იმყოფებოდნენ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი და მერის წარმომადგენელი სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში ირაკლი ჩადუნელი.

მათი განმარტებით, სამუშაოებს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და მისი ღირებულება 58 983 ლარს შეადგენს.

კულტურის სამინისტრო ხაშურის სამუსიკო სკოლას როიალს შეუძენს

ამ დღეებში, კულტურის სამინისტრომ, კონკურსის „სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება" გამარჯვებულები გამოავლინა. კონკურსში გამარჯვებულთა შორის ერთ-ერთი ხაშურის სამუსიკო სკოლაცაა, რომელსაც კულტურის სამინისტრო, საკონცერტო დარბაზისთვის, როიალს შეუძენს, რაც მართლაც მისასალმებელი და სასიხარულო ფაქტია, რადგან სკოლის არსებული როიალი, სიძველის გამო, ვერ პასუხობდა მუსიკოსთა მოთხოვნებს, რაც სასწავლო პროცესში სერიოზულ პრობლემებს ქმნიდა.

მთლიანად, კონკურსის შედეგად, სულ 12 ნომინანტი დაჯილდოვდა. კონკურსის ჯამური ღირებულება კი 400 ათას ლარს შეადგენდა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2022 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

საანგარიშო პერიოდში, სამსახური ახორციელებდა მასზე დაკისრებულ სხვადასხვა სამსახურებრივ ფუნქციებს,მათ შორის: მოცემულ პერიოდში, საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესით სასამართლოში წარიმართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები, საჩივრები, შესაგებლები და სამართალდარღვევის ოქმები) სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში.

საანგარიშო პერიოდში, სასამართლო წარმოებაში იყო 39 საქმე, სადაც მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი იყო მხარედ, აქედან 29 იყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების, 8 სამოქალაქო სამართალწარმოების, 2 საქმე განიხილებოდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ფაქტებზე. ზემოხსენებული 29 ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებიდან 4 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირად იყო ჩაბმული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში და ახდენდა მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას. სასამართლო წარმოებაში არსებული 39 საქმიდან 3 საქმე დასრულდა და შევიდა კანონიერ ძალაში. აქედან, 3-ივე საქმეზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკმაყოფილებული იქნა მუნიციპალიტეტის მერიის კანონიერი ინტერესები - 1 სამოქალაქო საქმეზე მოთხოვნა პირგასამტეხლოზე სრულად იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო 2 ადმინისტრაციულ საქმეზე, ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე, შეწყდა საქმისწარმოება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტები ძალაში დარჩა და კანონიერი ინტერესები სრულად იქნა დაცული. დღეისათვის სასამართლო წარმოებაშია სულ 36 საქმე, აქედან 27 საქმე არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების, (მათგან 4 საქმეზე მუნიციპალიტეტი მესამე პირადაა ჩაბმული სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში), 7 საქმე არის სამოქალაქო სამართალწარმოების, ხოლო 2 საქმე განიხილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალწარმოების წესით. აღნიშნული საქმეებიდან 25 საქმე განიხილება ხაშურის რაიონულ სასამართლოში, 9 საქმე იხილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2 საქმე განსახილველად გადაგზავნილია საქართველოს უზენაეს სასამართლოში. ამასთანავე, სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის 4 საქმეზე, სამსახური ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას და მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას. აღნიშნულ საქმეებზე არ დასრულებულა წინასწარი გამოძიება და შესაბამისად, მათზე გრძელდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი დახმარება გაუწია ზედამხედველობის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლის და საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 130-ე მუხლით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეებზე. მათგან 1 ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება - დაჯარიმება.

პარალელურ რეჟიმში, სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით, სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეკონომიკური განვითარების, საბიუჯეტო და სხვა სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე, გაცემულია 6 სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ეხებოდა მერიის სხვადასხვა სამსახურების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. სამსახურის მიერ, მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე უშუალო გასაუბრების გზით. საანგარიშო პერიოდში, სამსახური უზრუნველყოფდა წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მიწის რეგისტრაციებთან დაკავშირებით გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე, მერიის შესაბამისი სამსახურისა და მოსამსახურეების მიერ კანონის დარღვევით გაცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესწავლისას, ბათილად იქნა ცნობილი არაერთი ასეთი ადმინისტრაციული აქტი, ხოლო გადაცდომებზე, სათანადო შესწავლის მიზნით, მასალები გადაგზავნილი იქნა მერიის ინსპექტირების განმახორციელებელ დანაყოფში.

საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად, ჩართული იყო და უზრუნველყოფდა მერიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესს, რა დროსაც, სამსახურის ინიცირებით, საკრებულოს სხდომაზე წარდგენილ იქნა დადგენილების 6 პროექტი.

სამსახური სისტემატურად ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილ) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, როგორც მუდმივმოქმედ ფორმატში, ასევე ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებებში, მათ შორის:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია“;
2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით, პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“;
3. “ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“;
4. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია“;
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია;
7. ზედამხედველობის სამსახურში კომპეტენციით მიკუთვნებული საკითხების შესწავლისა და განხილვის სამუშაო ჯგუფი;
8. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო, მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული კონკრეტული ადმინისტრაციული საჩივრის შემსწავლელი და განმხილველი დროებითი სამუშაო ჯგუფი;
9. ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის უწყებათაშორისი კომისია;
10. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო;
11. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი და უძრავი ქონების ინვენტარიზაციის განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებში, მერიის დებულებასა და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით ღვალაძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ხაშურის თოჯინების თეატრმა ახალი სეზონი გახსნა

ხაშურის თოჯინების თეატრში ახალი სეზონი ასტრიდ ლინდგრენის „ბიჭუნა და კარლსონით“ გაიხსნა (რეჟისორი -ლალი კახეთელიძე, პიესის ავტორი - გურამ კაპანაძე).

პრემიერას ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი საკრებულოს წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან ერთად დაესწრო.

სცენაზე გაცოცხლდნენ ბიჭუნა, კარლსონი, ფრეკენ ბოკი, რომლებთან შეხვედრამ პატარები მხიარულებით აავსო.

საკრებულოს თავმჯდომარემ პანდემიის შემდეგ სეზონის გახსნა მიულოცა ხაშურის თოჯინების თეატრს და მრავალი წარმატებული წარმოდგენა უსურვა.

ხაშურის თოჯინების თეატრი (დირექტორი გია ბოლოკაძე) მრავალი ფესტივალის მონაწილე და გამარჯვებულია.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16)

გათენდა... მე ისევ ცოცხალი ვიყავი. დილის ათი საათი იქნებოდა, კარებს მიღებენ, შემოდის სამხედრო გამომძიებელი, სამხედრო შინელში, გარიბალდის ქუდით. კარები მიიხურა, საწერი ქაღალდი მაგიდაზე დადო და მზრუნველობით დამიწყო: „შენ საველე სასამართლოზე ხარ გადაცემული. მე მოვედი დასაკითხად, ყველა კითხვაზე საჭიროა დაფიქრებით უპასუხოთ და მდგომარეობას ძალით ნუ დავამძიმებთ, თორემ სხვანაირი მომენტიაო.“ მე ეხლა გავიგე, რომ სამხედრო საველე სასამართლო ყოფილა. მის მზრუნველობაში ეჭვი შემეპარა, გულახდილობაზე თავს ვიკავებდი, ისიც კი ვუთხარი, რომ მილიციის უფროსი ტყუილა მაბრალებს ბოლშევიკობას-მეთქი. მან მიპასუხა, რომ მილიციაც და სხვა ადგილობრივი ხელისუფლება წუხელი 12 საათზე გავიდნენ ხაშურიდან დასავლეთისკენო. დაიწყო დაკითხვა, მე ვპასუხებდი, ბევრ ადგილას თითონ მისწორებდა. დაამთავრა დაკითხვა. გამომემშვიდობა და წავიდა. მე სრულებითაც არ მჯეროდა, რომ მისი დაწერილი ოქმით დახვრეტას გადავრჩებოდი. დღის 12 საათი იქნებოდა ჯარისკაცებისა და ოფიცრების ლაპარაკი მეყურებოდა, ძალიან სწუხდნენ, ვერ შოულობდნენ თუთუნს, პაპიროსს. მე მათ ვთხოვე, თუ წამიყვანდნენ, ვაშოვნინებდი პაპიროსს, ისინიც დამთანხმდნენ. ოთხი ჯარისკაცი გამაყოლეს. მე ბიძაჩემისაკენ გავწიე, მინდოდა გაეგოთ ჩემი ამბავი ან ამხანაგებს, ან ბიძაჩემს. ქუჩაში ლ. ძინძიბაძის დედამ დამინახა. ის საჩქაროდ გაბრუნდა და აჩქარებით წავიდა. მე უკვე მივხვდი, ის ამხანაგებთან წავიდა, რათა ჩემი ამბავი ეთქვა. ბიძაჩემთან მივედით. იგი ძალიან შეშინდა, ჯარისკაცები რომ დაინახა. მიხვდა, რომ დაპატიმრებული ვიყავი. მე მას განგებ ვუთხარი პაპიროსი უნდა გვიშოვო მეთქი, პაპიროსი არ ქონდა, თუთუნს ეწეოდა. ცოტაოდენი თუთუნი მოგვცა, მე ისიც ვანიშნე რომ თოფზე თუ კითხონ, უთხარი მე წავიღე-თქო, დამაბრუნეს უკანვე საპატიმროში. ამხანაგებმა გაიგეს ჩემი ამბავი და ბიძაჩემმაც. ეხლა აღარც ეს მაწუხებდა.

იქნებოდა დაახლოებით მარტის 3 თუ 4 რიცხვი, წითელი არმია უკვე გორს უახლოვდებოდა. მენშევიკების პროვოკაციით შეშინებული ხაშურის მოსახლეობა გახიზნული იყო სოფლებში, ქალაქში პროდუქტები არ იშოვებოდა, ქუჩები ღღისით სავსე იყო სამხედრო ნაწილებით, ტრანსპორტით, ფეხოსანით თუ ცხენოსანით. ჯარისკაცები დეზერტირობდნენ. ვინც ჯერ კიდევ ჯარის ნაწლებში ირიცხებოდა, ისინიც დამარცხებულად გრძნობდნენ თავს, ყველას უნდოდა ჩქარა მოღებოდა ბოლო მენშევიკურ ხელისუფლებას.

საღამოს 9 საათი იქნებოდა, როცა ჯარისკაცები მოცვივდნენ. ისინი ათ კაცამდე იყვნენ, შუაში ჩამიყენეს და ჩამიყვანეს დაბლა ქუჩაში. სადგურისკენ წამიყვანეს. ეხლა სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ დასახვრეტად მივყავდი-არავითარი საველე სასამართლო. სადგურის მარჯვენა მხრიდან პერონზე გამიყვანეს, მარცხნით შემატრიალეს. შემიყვანეს ერთ შენობაში, იქ, სადაც ვაგონების გამსინჯველთა ბრიგადა მუშაობდა ხოლმე. იქიდან მეორე ოთახში გამოყვანეს, სადაც მოთავსებული იყო საველე სასამართლო. სამი კაცის შემადგენლობით და მდივნით. იქ არც ბრალმდებელი იყო, არც პროკურორი და არც ბრალდებულის დამცველი. დაიწყო სასამართლო პროცესი. წაგვიკითხეს საბრალდებო დასკვა. ბრალი მედებოდა იმაში, რომ ჩემი ასაკის ხალხი ფრონტზე იყვნენ, მე კი ვდეზერტირობდი, დავარღვიე საალყო წესები და უდროოდ გავედი ქუჩაში ვაზნებჩაწყობილი შაშხანით ხელში, რაც საეჭვო პიროვნებად მხდიდა. მე დინჯად ვუპასუხებდი: ავად ვიყავი, ჯარში დროზე ვერ წავედი, საალყო წესები არ ვიცოდი თუ იყო, ეხლა მოვრჩი, სახლში უპატრონო თოფი ვნახე და მივდიოდი რომელიმე ნაწილში ჩასაწერად, რადგან სამშობლო გასაჭირშია-მეთქი. პროცესი ორ საათს გრძელდებოდა. ერთ-ერთი მსაჯული ხშირად გადაულაპარაკებდა ხოლმე თავმჯდომარეს: „ეს ხაშურელი კაცი მაშინ არ ისვენებდა, როცა ბოლშევიკები აზერბაიჯანში იყვნენ და ეხლა მოისვენებსო? გადავცეთ იქო“. მე მას ხმამაღლა ვუთხარი წყრომით, თუ მომიყვანეთ აქ უნდა მკითხოთ-მეთქო. სასამართლოს თავმჯდომარე განრისხდა. წესრიგისაკენ მომიწოდა, ისიც კი მითხრა, რომ თითქოს არ ვიცოდი ვის წინაშე ვიყავი. დამთავრდა პროცესი, განაჩენი არ წამიკითხეს. სასამართლოს თავმჯდომარემ მრისხანედ მომმართა: „გირჩევნია საფლავი გაგეთხაროს თუ ბრძოლაში მიიღებ მონაწილეობას სამშობლოს დასაცავად“. მე უკანასკნელზე დავეთანხმე.

წამიყვანეს მილიციაში, კომენდანტს გადაცეს პაკეტი. მე გარეთ გამათრიეს. მე ახლა ვფიქრობდი, როგორც აბაიაძე, მეც წამიყვანდნენ დასახვრეტად, მაგრამ ისევ საპატიმროში შემიყვანეს. ეს ღამეც საშინლად გაგრძელდა. გათენებისას ჩამეძინა. მალე გამეღვიძა. 10 საათი იქნებოდა, კარები გამიღეს. ჩემი ნაცნობი გამომძიებელი შემოვიდა. გადარჩენა მომილოცა. მე მადლობა გადავუხადე. ერთი საათის შემდეგ კომენდატურაში დამიძახეს, ფული დამიბრუნეს, ორი ჯარისკაცი გამაყოლეს და წამიყვანეს. გარეთ სურამულას ხიდი გამახვევინეს (ეხლა რომ საკაძის ქუჩაა), მიმიყვანეს პირველი საშუალო სკოლის წინ, ორსართულიან შენობაში, იქ წარმადგინეს პოლკოვნიკთან, გადასცეს დალუქული პაკეტი. გახსნა პაკეტი, არ ვიცი რა ეწერა. მკითხა მხოლოდ, რათ იყავი საველე სასამართლოშიო, მეც ვუპასუხე, გაუგებრობის შედეგად მეთქი. გამომაბრუნეს და მიმიყვანეს პირველ სართულზე სკოლის შენობაში. იქ სამხედრო ნაწილი იდგა და ჩამწერეს სამხედრო ნაწილში. თოფიანი ჯარისკაცები ჩამომეცალნენ, ახლა დავრწმუნდი, რომ გადავრჩი დახვრეტას.

ამოვისუნთქე თავისუფლად, მაგრამ მალე ახალი საკითხის გადაწყვეტა დამჭირდა, - გავპარულიყავი ამხანაგებთან. სარდაფში ღამით დამეძინა, მაგრამ საღამოს 8 საათი იქნებოდა ჯარისკაცების ხმაურმა გამომაღვიძა. მწყობრში დგებოდნენ, მეც დამაყენეს. თოფი და ვაზნები მომცეს, გაგვიცხადეს: მივდივართ გომისაკენო, ჩვენებს წინ წაუწევიათ, პლენები დაუჭერიათ და უნდა მივეშველოთო (თუმცა არცერთ ჯარისკაცს მათი არ სჯეროდათ). აქვე აფრთხილებდნენ ჯარისკაცებს, ღალატი გახშირდა და ვინც უკან ჩამორჩება უნდა ვესროლოთო. ახლა სხვა ფიქრებმა შემიპყრო, ნუთუ მე ფრონტზე უნდა წავიდე და ვინ იცის წითლების ტყვიამ მომკლას? არა.

ნაწილი დაიძრა სადგურისაკენ, მე ბოლოდან მეოთხე ვიყავი ვისწორებ ფეხსაცმელს, ვიწევ მესამე, მეორე ვდგევარ უკვე უკანასკნელ რიგში, გაუსწორდით აფთიაქს, ერთიც დავიკუზე ფეხსაცმელისათვის და კიდეც გავარდი აფთიაქს უკან. ნაწილი უკვე მიუახლოვდა სადგურს. ახლა უკვე საჭირო იყო გაბედული მოქმედება, თავზე ხელის აღება. უნდა გამოვსულიყავი ქუჩაში, რადგან სხვა გზით წასვლა არ შეიძლებოდა, აღარ შეიძლებოდა ხელში ჩავარდნა, რადგან ან ადგილზე გამისწორდებოდნენ ან მიმყვანდნენ იმავე კომენდანტთან.

თოფში ვაზნები ჩავაწყვე, გამოვედი ქუჩაში და გავემართე ამხანაგებისაკენ, მიუახლოვდი სურამულას ხიდს, ქვემოდან ჯარისკაცებს მოჰყავთ ერთი დაჭრილი, ისმის კვნესა, ჩავედი ხიდქვეშ, გაიარეს მათ და გამოვედი ისევ. შორიდან შევამჩნიე რომ პატრულები კიდევ იმ გზაჯვარედინზე იყვნენ, სადაც პირველად დამიჭირეს, შევედი ისევ ბიძაჩემის ეზოში, მაგრამ იქ გაჩერებაც საშიში იყო. ჩავედი სახლის ქვეშ სარდაფში, იქ მუხლამდე წყალში მხლოდ ერთი საათი შევძელი დგომა, შემდეგ კი მიუკაკუნე ბიძაჩემის კარებს, კარები გამიღო, განცვიფრებული მეკითხებოდა, რა მოხდაო. მე იგი დავამშვიდე, ჯარში ჩამწერეს და ამაღამ ოფიცერმა გამათავისუფლა ერთი ღამით-მეთქი. მან დაიჯერა, მე კარებთან წამოვწექი, მზად ვიყავი ყოველი შემთხვევისათვის. ბიძაჩემმა ის არ იცოდა, რომ თუ ჩემს კვალს მოაგნებდა ვინმე ჩემთან ერთად ბიძაჩემსაც ვღუპავდი.

გათენდა მშვიდობით, ეხლა უკვე ადვილი იყო ქუჩით წასვლა ამხანაგებთან, რადგან ქუჩა გავსილი იყო უცხო ხალხით.

რამდენიმე წუთიც და ჩემი შაშხანით ამხანაგების სარდაფში გავჩნდი, ისინი იქ შინაური არყით ჩემს ხსოვნას და შესანდობარს სვამდნენ, შეიქმნა ხვევნა-კოცნა, სიკვდილის ადგილი სიხარულმა დაიკავა. ის ღამე ხაშურში მენშევიკური ხელისუფლების უკანასკნელი ღამე იყო, დილით ადრე წითელი არმიის ცხენოსანი რაზმი ჭალის მხრიდან ჩვენს ქუჩაზე შემოიჭრა. შიკრიკმა მოგვახარა, ჩვენ მათ წითელი დროშებით შევეგებეთ. დავიწყეთ ურასი და ვაშას ძახილი, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

ასე დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება ხაშურშიც, ასე დამთავრდა ჩემი რევოლუციონერული მუშაობის მეორე ეპიზოდიც.

ეს იყო მგონი მარტის თვის 5 რიცხვი“.

ამრიგად, 1921 წლის 5 მარტს ხაშური და სურამი მე-11 წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავა.

8 მარტს გაზეთ კომუნისტში გამოქვეყნდა ოპერატიული ცნობა წითელი არმიის მიერ ქალაქ ხაშურისა და სურამის დაკავების შესახებ. მასში ნათქვამია: „ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მიხაილოვო, სურამი და ტუნელის შესასვლელი“.

ამ ცნობაში გაურკვევლობას იწვევს სიტყვა - „ჩვენი“. ამ სიტყვის მოხმობის უფლება მხოლოდ საქართველოს კანონიერ მთავრობას შეეძლო თავისი ჯარის შესახებ. საქართველოს რევკომის, ე.წ. „შულავერის მთავრობა“, რომელიც 16 თებერვალს შეიქმნა, უნდა ვიფიქროთ, რომ ასე სწრაფად არ ხელეწიფებოდა შეექმნა ჯარი, რომელსაც შემდეგ გაზეთი „კომუნისტი“ „ჩვენი ჯარების“ სახელით მოიხსენებდა.

ალბად სწორი იქნებოდა თუ იტყოდნენ: „სხვისმა ჯარებმა დაიკავეს მიხაილოვო, სურამი, და ტუნელის შესასვლელი“. ეს ჯარები კი საბჭოთა რუსეთის კარგად ცნობილი მე-11 წითელი არმიის ნაწილები იყო, რომელიც „აჯანყებული“ ქართველების დასახმარებლად შემოვიდა საქართველოში.

შემდეგ ხაშურში ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. შეიკრიბა ბოლშევიკთა მცირერიცხოვანი ჯგუფი და „ქვეყნის წინაშე დამსახურების“ და მიხედვით ადგილები დაინაწილეს:

<u>ივანე აბრამაშვილი:</u> „1921 წლის მარტში, როცა ხაშურში მე-11 გამანთავისუფლებელი წითელი არმია შემოვიდა, ჩვენ ქალაქ ხაშურში შევიკრიბეთ აქტიური კომუნისტები, რევკომის შესაქმნელად. რევკომის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ლენტო გოგოლაძე, მდივნად – გრიგოლ (გუგული) ბუხნიკაშვილი. მე არჩეული ვიქენი რევკომის შინამმართველობის პასუხისმგებელ მდივნად. შინამმართველობის ძირითად საქმეს წარმოადგენდა კონტრევოლუციური ნაშთების ლიკვიდაცია. იმავე – 1921 წლის აპრილში გადაყვანილი ვიქენი რევკომის მდივნად. შემდეგ წლებში (1925 წ-მდე) ვმუშაობდი ხაშურის რაიაღმასკომის თავმჯდომარედ. 1925 წელს ხაშურს გამოეყო და შეიქმნა ცალკე სურამის რაიონი და გადამიყვანეს სურამის აღმასკომის თავმჯდომარედ, როგორც გამოცდილი მუშაკი.

<u>ივანე ურიადმყოფელი:</u> „საქართველოს მენშევიკების ხელისუფლების დამხობის შემდეგ პარტიის მიერ გაგზავნილი ვიყავი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პოლიტსამდივნოს განკარგულებაში და პოლიტსამდივნოს მიერ მე დანიშნული ვიქენი ხაშურის უბნის რკინის გზის ტელეგრაფის პოლიტიკურ კომისრად 1921 წლის 28 თებერვლიდან და დაკისრებულ მოვალეობისამებრ შეუდექი მუშაობას და ვღებულობდი გადამჭრელ ზომებს ჩემს წინაშე მდგომ საბრძოლო ამოცანების განსახორციელებლად, წესრიგში მომყავდა მენშევიკების შეიარაღებული ჯარის ნაწილების მიერ დანგრეული და სერიოზულად დაზიანებული სატელეგრაფო, სატელეფონო აპარატების ქსელები. ჩემს მომსახურეობაში მყოფ რკინი გზის სადგურებში რკინიგზის ტრანსპორტზე ნორმალური მუშაობის აღსადგენად და მატარებლების მიმოსვლის უზრუნველსაყოფად ხელს უწყობდი წითელი არმიის ნაწილების გაყვანას. საბრძოლო უბნებში სამხედრო ოპერაციების გასაშლელად, მობილიზაციას ვუკეთებდი და ვაბრუნებდი სამუშაოდ თავიანთ ადგილებზე იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც იმალებოდნენ სოფლებში“

ზოგიერთი ქართველი ნებსით თუ უნებლიედ, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ დამპყრობთა სამსახურში აღმოჩნდა და ხელი შეუწყო წითელი არმიის წინსვლას. შეიძლება მათზე სიტყვაც არ გვეთქვა, მაგრამ არც მათი მოგონებები უნდა იყოს ინტერესმოკლებული:

<u>ვალერიან ფცქიალაძე</u>: „1921 წლის მარტი იყო. უეცრად გავიგეთ, მე-11 გამანთავისუფლებელი წითელი არმიის წარმატებები, რომლებიც დასავლეთისაკენ მოერეკებოდა მენშევიკებს. მენშევიკების შეიარაღებულ გვარდიას, რომელიც გზას უკაფავდა ჟორდანიას და მის მომხრეებს, მეთაურობდა ულმობელი, კოჭლი ჯალათი გოგუაძე. იგი რკინიგზაზე მოძრაობდა ჯავშნიანი მატარებლით და ყოველგვარი დაკითხვისა და გასამართლების გარეშე ხვრეტდა ყველას, ვისზედაც ოდნავ ეჭვს მიიტანდა, სადგურ მარელისში შევიტყვეთ, რომ გოგუაძემ წიფის სადგურში ბრძანების შეუსრულებლობისათვის თავისი ხელით დახვრიტა 9 გვარდიელი. მე და ჩემი ამხანაგი შველიძე სიხარულით მოველოდით წითელი არმიის შემოსვლას. შველიძეს მე განვუცხადე: მენშევიკები დასავლეთისაკენ გარბიან და წინააღმდეგობას უწევენ წითელ არმიას, ჩვენ, რომ ეხლა საწვავით მოვამარაგოთ ორთქლმავალი, მას მენშევიკები გამოიყენებენ წითლების წინააღმდეგ-მეთქი, ეს ის მომენტი იყო როცა წიფიდან გამოსული იყო ჯავშნიანი მატარებელი. ჩვენ ერთმანეთს პირობა მივეცით და მივატოვეთ სამუშაო, ორთქლმავალი დაუტვირთავი დავტოვეთ და გავიქეცით, როცა გოგუაძეს გამოეკვლო, მუქარა გამოეთქვა ჩვენს მიმართ, ეხლა, რომ აქ ყოფილიყვნენ ჩემი ხელით დავხვრეტდიო, - განუცხადებია იმ ჯალათს. გაცივებული ორთქლმავალი კი ჩიხიდან ვერ დაეძრათ.

ჩემი თვალით მყავს ნახული აგრეთვე მენშევიკი გვარდიელები, გაქცევის დროს, როცა ისინი ნოე ჟორდანიას აცილებდნენ, ფეხებზე თელისა და ცაცხვის კანისაგან დამზადებული ქალამნები ეცვათ, აი, როგორ გააღატაკა ქვეყანა მათმა თარეშმა“.

<u>კოტე კიკნაძე</u>, რომელსაც შემდეგ პარტიიდან გარიცხავენ, მაინც მისი სიყვარულით საზრდოობდა და სიამაყით იგონებდა: „1921 წელი იყო. ერთ დღეს როცა ლიხში მივიყვანე მატარებელი, იქ დიდხანს გაგვაჩერეს. ამ დროს ხაშურის მხრიდან ზარბაზნების ხმა მოგვესმა. მატარებელი მივატოვე და ხაშურში გამოვიპარე. ხაშურში, რომ ჩამოვედი, ამ დროს უკვე შემოდიოდა მე-11 წითელი არმია და სხვებთან ერთად მას შევეგებე. 1921 წელს მე უკვე შევედი ბოლშევიკური პარტიის რიგებში. პირნათლად ვასრულებდი პარტიის დავალებებს. 1923 წელში ხშირად მიხდებოდა მგზავრობა მიველინებებში, სხვადასხვა შორეულ რეისებში და ჩამოვრჩი საევრო ანარიცხების შეტანის საქმეში. ამის გამო ჩამომართვეს მანდატი და იარაღი, მაგრამ მე გულით მიყვარდა ჩვენი პარტია და ეხლაც მიყვარს“.

დასავლეთ საქართველოში გადასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა 18 მარტს ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა. მარტის ბოლოს მთელ საქართველოში საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილები იდგა უკვე. საქართველო ხელმეორედ აღმოჩინდა რუსეთის უღელქვეშ.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ძიუდო

სოფიიდან ხაშურში ორი ოქროს მედალი ჩამოვიდა

გნებავთ, ამას სასწაული დაარქვით და გნებავთ, საოცრება. ფაქტი კი ასეთია:პირველობაზე, ძიუდში, სადაც ევროპის ათეულობით სახელმწიფოს გამორჩეული მოჭიდავე იღებდა მონაწილეობას-ოლიმპიური თუ მსოფლიო ჩემპიონები, შვიდი ოქროს მედლიდან, ორმა ხაშურში დაიდო ბინა. არა, წარმოიდგინეთ ვინმე პარიზელს, ლონდონელს, მადრიდელს თუ ლისაბონელს რომ ჰკითხოთ ხაშურზე რამე, კითხვის შინაარსსაც ვერ გაიგებენ, ჰოდა, აწი მაინც ეცოდინებათ(თუ არ

ეცოდნებათ და ისევ თავის თავს დააბრალონ), რომ ხაშურში ლომკაცები იზრდებიან, ისეთი ბიჭები, რომლებსაც ძიუდოს სამყაროში სიტყვა ეთქმით და თუ ვინმე გზაზე ავად გადაუდ ებათ, თავ-ბედს აწყევლინებენ.

ლუკა მაისურაძე და ტატო გრიგალაშვილი- აი, ჩვენი ოქროს ბიჭები, ალალები, სამშობლოსთვის გულანთებულები, ძიუდოს დიდოსტატები, ათასობით გულშემატკივრის გამხარებლები და რაც ჩვენი ქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია და სასიხარულო, წმინდა ხაშურელები. მართალია, დღეს ტატო ქარელის სახელით ასპარეზობს(თუ რატომ, ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს). მაგრამ იგი ჩვენი თანამოქალაქეა ოჯახით და წინაპრებით. ამ ბიჭებმა ისე დააქუხეს ხაშურის სახელი, ვინძლო შორეულ იაპონიაშიც დაინტერესდნენ ჩვენი ქალაქის საჭიდაო სკოლით და მისი ტრადიციებით. ჰოდა, მობრძანდნენ ბატონო, სანახავსაც

ვაჩვენებთ და იმ პატარებსაც შევახვედრებთ დიდი რამაზ ხარშილაძის და აგერ, ამ ბიჭების გაკვალულ ბილიკზე რომ დგანან და მჯერა, ხვალ-ზეგ ოლიმპიურ ტიტულებსაც შეუტევენ.

ტატოსთვის ეს მეორე ევროპული ოქროა, ლუკამ კი პირველად იჩემპიონა ევროპაში. ასპარეზობა ისეთი იყო, პირველივე ჭიდაობიდან რომ ჩანდა, მხოლოდ ოქროს მედლები რომ დააკმაყოფილებდა მათ მადას. მართალია, ლუკამ თავიდან ცოტა დუნედ დაიწყო, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს ტაქტიკის ნაწილი იყო, რეზერვი ჰქონდა და მთავარ ძალას ნახევარფინალისთვის ინახავდა. ასეც მოხდა, ნახევარფინალში სულ მარტივად და თამაშ-თამაშით მოუგო უნგრელ რისტიან ტოტის, ტიტულიან მეტოქეს., მსოფლიოს ფინალისტს. ფინალში კი სერბ დრაკო ბრასნოვიჩს ჯერ გარეჩავლებით ვარდნით და გვერდზე გადაქნევით აგემა ვაზარი, შემდეგ კი, დასრულებამდე 12 წამით ადრე, პირდაპირ "კონტროლი" დაახალა სერბს და შებოჭა. ტატომ კი ფინალში მართლაც შავი დღე აყარა ასევე ტიტულიან ბელგიელ მატიას კასეს.

აი, ასე! ძიუდოს მსოფლიოს რუკაზე თუ აქამდეც ჩანდა ხაშურის სახელი, მაგრამ ძალიან წვრილი ასოებით, ახლა დიდი შტრიხითაა გამოტანილი. მადლობა თქვენ, ლომკაცებო! მადლობა, რომ ამ მრუმე დღეებში, როდესაც ომმა დაგზაფრა, თქვე შეძელით და ამდენი სიხარული მოუტანეთ ქალაქს და მთელ საქართველოს.

გვიყვარხართ, ბიჭებო და მოუთმენლად ველით მსოფლიო პირველობას, რომელზეც, გვჯერა, კიდევ უფრო ხმამაღლა გაიჟღერებს თქვენი და ხაშურის სახელი.

გ.გოგოლაძე

(ინტერვიუ ლუკა მაისურაძესთან, იხილეთ VI გვერდზე)

განათლების სამინისტრო სასკოლო ექსკურსიების წესებს სრულად ცვლის - რა შემთხვევაში შეძლებენ მოსწავლეები ექსკურსიაზე წასვლას?

განათლების სამინისტრო სკოლებს მხოლოდ ერთდღიანი ექსკურსიის მოწყობის უფლებას აძლევს, მოსწავლეების ღამისთევით ქალაქიდან გასვლა კი იკრძალება.

ამასთან, როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში განაცხადეს, ექსკურსიის ადგილის შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ მანძილი სკოლიდან ლოკაციამდე 150 კმ-ს არ აღემატებოდეს.

გარდა ამისა,ზოგადადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით,მნიშვნელოვანია,ექსკურსიის დროს არასრულწლოვნები არ მოხვდნენ მდინარისა და წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიაზე, მეწყერსაშიშ და სხვა დაუცველ ტერიტორიებზე.

ასევე, როგორც განათლების სამინისტროში სააგენტოს განუმარტეს, ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი,რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

"სასკოლო ექსკურსიების ორგანიზების პროცესში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები მოქმედებენ "საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონისა და "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ექსკურსიების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 31 მაისის №719 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული წესის შესაბამისად, ექსკურსიის ორგანიზატორი/ხელმძღვანელი პასუხისმგებელია მგზავრობის პროცესში და ექსკურსიის ლოკაციაზე მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, რისთვისაც იგი გამოითხოვს და სკოლის დირექტორს,ექსკურსიამდე არანაკლებ 10 დღით ადრე,წარუდგენს ტრანსპორტის გამართულობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მძღოლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და შესაბამისი კატეგორიის ავტომანქანის მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობის ასლს, ინფორმაციას ექსკურსიის მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მონაწილე პირების (მათ შორის, მცირეწლოვნების), პასუხისმგებელი პირების, ექსკურსიის თარიღისა და ლოკაციის შესახებ. სკოლის დირექტორი განიხილავს წარდგენილ ინფორმაციას/დოკუმენტებს და პერსონალური პასუხისმგებლობით იღებს გადაწყვეტილებას ექსკურსიის განხორციელების ან განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

მოსწავლეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ექსკურსია უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთ დღეში, ღამისთევის გარეშე. ლოკაციის შერჩევა უნდა მოხდეს ისე, რომ მანძილი სკოლიდან ლოკაციამდე არ აღემატებოდეს 150 კმ-ს. მნიშვნელოვანია, ექსკურსიის დროს არასრულწლოვნები არ მოხვდნენ მდინარისა და წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიაზე, მეწყერსაშიშ და სხვა დაუცველ ტერიტორიებზე.

ექსკურსიის ორგანიზატორი ვალდებულია მოსწავლეს, მის წარმომადგენელს და ექსკურსიაში მონაწილე სხვა პირებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ექსკურსიის თარიღის,ლოკაციის,დაგეგმილ ღონისძიებათა მიზნების,აქტივობების და მონაწილე და პასუხისმგებელი პირების შესახებ. ექსკურსიის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს მოსწავლის მშობლის წერილობითი თანხმობა ექსკურსიაში მოსწავლის მონაწილეობის შესახებ, თუ მოსწავლის წარმომადგენელი არ ახლავს მას ექსკურსიაზე. ექსკურსიაში მონაწილე სრულწლოვან პირთა შორის უნდა იყოს სულ მცირე ერთი ქმედუნარიანი პირი,რომელსაც აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უნარ-ჩვევები.

ექსკურსიის ხელმძღვანელს სრულყოფილად უნდა ჰქონდეს მონაწილე მოსწავლეებისა და მშობლების მონაცემები, მათ შორის, ინფორმაცია მონაწილე მოსწავლის სპეციალური საჭიროებების შესახებ. მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ექსკურსიაზე ტრასპორტირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, ფიზიკური ან

იურიდიული პირის მიერ იმ სატრანსპორტო საშუალებით,რომელსაც გავლილი აქვს ტექდათვალიერება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სატრანსპორტო საშუალებას უნდა მართავდეს შესაბამისი გამოცდილებისა და სათანადო კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე მძღოლი. სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იყოს განთავსებული პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა.

მოსწავლეთა ტრანსპორტირებისას, მათი კვების მიზნით, საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება უნდა ხორციელდებოდეს სანიტარული პირობების დაცვით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთათვის ტრანსპორტირება უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი საჭიროების გათვალისწინებით.

და ბოლოს, კორონავირუსით (Covid -19) გამოწვეული პანდემიის პირობებში ნებისმიერი აქტივობის ჩატარებისას, დაცული უნდა იქნას კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი ყველა რეგულაცია. გარდა კოვიდრეგულაციების დაცვის აუცილებლობისა, უნდა შეიზღუდოს სხვა ნებისმიერი რესპირატორული დაავადების ნიშნების მქონე პირთა მონაწილეობა სასკოლო ექსკურსიებში.

ლუკა მაისურაძე: ხაშური არის ქალაქი, სადაც ყოველთვის ვბრუნდები, სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ემოციაა...

(თემის დასაწყისი იხილეთ V გვ.)

– ჩემი სპორტული მომავალი, ჩემმა ოჯახმა განაპირობა-მამა მოჭიდავე იყო, ჩემი ძმებიც და რა თქმა უნდა, მეც ამ მიმართულებით წავედი. სახლში, ფაქტობრივად, სულ ძიუდო იყო, რვა წლის შევედი ჭიდაობაზე. იმდენად მომწონდა, კვირაში სამჯერ ძიუდოში ვვარჯიშობდი და დანარჩენ ორ დღეს თავისუფალ ჭიდაობაში. საბოლოოდ ძიუდოში წავედი... ასე დაწყო ჩვენი საუბარი ევროპის ჩემპიონთან ლუკა მაისურაძესთან, რომელმაც ათიოდე დღის წინ, თავისი ლამაზი გამარჯვებით, ათასობით ქართველს მოუტანა სიხარული.

- პირველი წარმატება?

–პირველი წარმატება, ალბათ რეგიონული მასშტაბის იყო. მედლის აღებას თავისი, განსაკუთრებული ჟინი და სტიმული აქვს. პირველი საერთაშორისო წარმატება ანტალია იყო, სადაც მესამე ადგილი ავიღე ჭაბუკთა შორის, ევროპის თასზე, წონა შევიცვალე მაშინ, პირველად გადავედი 81 კილოში და მედალი ავიღე, ძალიან დიდი სიხარული იყო, მაგრამ მალევე დიდი ტრავმა მივიღე და ერთი წელი გამოვტოვე.

- რა შეგრძნებაა საქართველოს სახელით ასპარეზობა?

-წარმოუდგენლად დიდი განცდაა, უდიდესი ემოცია მოდის, როდესაც შენი ქვეყნის ჰიმნი გესმის. ეს მხოლოდ პირადი პასუხისმგებლობა არაა, სპორტს, გარდა მატერიალური ინტერესის, თან ახლავს ადამიანების, შენი ქვეყნის დიდი სიყვარული, რასაც ყოველდღიურად გრძნობ. ჰიმნის დროს, გბურძგლავს, ემოცია გიპყრობს მთლიანად ბრძოლის ჟინს გიღვიძებს. თან როცა, ამხელა კონკურენციის ფონზე, შენი ქვეყანა ნდობას შენ გიცხადებს, ძალიან სასიამოვნო, მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობაა-ქვეყნის სახელი გაგაქვს საერთაშორისო ასპარეზზე.

_თუ არის განსხვავება, გუნდურ და პირად ასპარეზობას შორის?

–რა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა. პირველ შემთხვევაში, მთელი ემოცია, პასუხისმგებლობა მხოლოდ შენზეა, რაც ემოციურად და ფსიქოლოგიურად ძალიან მოქმედებს. გუნდურის შემთხვევაში, სხვანაირი ჟინია, ერთმანეთს ვეხმარებით, ვამხნევებთ. ქართველებს ეს ძალიან კარგად გამოგვდის თან, რაც შედეგებზეც კარგად ჩანს.

წაგება ძალიან დიდი ტრავმაა სპორტსმენისთვის, იმ მომენტში, შეიძლება წასვლაც მოგინდეს სპორტიდან, მაგრამ მოგება იმდენად დიდი ადრენალინია შემდეგ, ყველა ემოციას ფარავს. ეს შეგრძნებები ბუნებრივია და ამისთვის მზად ვარ ხოლმე. თუ არ წაგე, მოგების ფასს ვერ გაიგებ.

- როგორია შეჯიბრის დღე, დილიდან, შეჯიბრის დასრულების მომენტამდე?

–ღელვა, შიში, ფორიაქი, ყველაფერი ერთადაა. მთელი კვირა ისვენებ, რომ დაალაგო ემოციები, დაასვენო სხეული. უძილობაც თან ახლავს, რასაც ენერგიის კარგვა მოჰყვება, ამიტომ ყველას ჩვენი მეთოდი გვაქვს, დასვენების, მზადების, ფსიქოლოგიური განწყობის შექმნის.

- წლევანდელ ევროპაზე, პირველ ორ გამოსვლაზე, მთელი საქართველო გვანერვიულე, ტაქტიკის ნაწილი იყო ეს?

–თავის მხრივ, ტაქტიკაც იყო. შესაძლოა გრანდ სლემზე გამოხვიდე და იჭიდავო ისე, რომ დიდი პასუხისმგებლობით არ მოეკიდო ამ გამოსვლას, როცა ოფიციალური შეჯიბრია, უკვე, სხვანაირად მუშაობ, სხვა დამოკიდებულებებით და ვერ რისკავ. შეჯიბრის მასშტაბურობიდან გამომდინარე, ძიუდო არის სპორტის სახეობა, სადაც შეცდომას ვეღარ ასწორებ. შეცდომა უკვე წაგების ტოლფასია.

- 90 კგ. წონითი კატეგორია, სადაც შენ გამოდიხარ, საკმაოდ კონკურენტუნარიანია საქართველოში, თუნდაც, ბექაური რად ღირს...

-ხუმრობით ვამბობ ხოლმე, რომ ქართველებისთვის 90 კგ. წონითი კატეგორია, მადლიანი წონაა., ამ კატეგორიაში, ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეები გვყავს და საკმაოდ პრესტიჟული წონაა, შესაბამისად, კონკურენციაც დიდია. ეს ჩვენთვის ძალიან დიდი სტიმულია.

_ ორწლაინმა ეპიდ. სიტუაციამ, არ იქონია გავლენა სპორტულ ცხოვრებაზე?

–რა თქმა უნდა, ძალიან შემიშალა ხელი, ვარჯიშშიც, არც შეჯიბრებები აღარ იმართებოდა. ოლიმპიადაზე ვიღებდი მონაწილეობას და ისიც გადაიდო. მსოფლიოს ცხოვრების რიტმი შეცვალა და ყველა სფეროზე ცუდი გავლენა იქონია.

- მწვრთნელი ხომ არ შეგიცვლია?

–ფაქტობრივად, სულ შეჯიბრებებზე ვარ, როცა ხაშურში ჩამოვდივარ, აქაც ვაგრძელებ ვარჯიშს და ვცდილობ, ფორმაში ვიყო. ბეგი და ბუხო არიან ჩემი მწვრთნელები, როცა ჩამოყალიბებული სპორტსმენი ხარ, რეჟიმში ყოფნას, აღარ აქვს მნიშვნელობა, რადგან უკვე იცი, როგორ იცხოვრო, როგორ განვითარდე და ეს პროცესი ძალიან ორგანული ხდება.

_შენი მთავარი ხუთი კონკურენტი ვინაა, მსოფლიოს მაშტაბით?

–ბექაური, იაპონელი, რუსი (ამ ეტაპზე, დისკვალიფიკაცია აქვთ), უზბეკი მოჭიდავეები. ამ ეტაპზე, მსოფლიო რეიტინგით, მეხუთე ადგილზე ვარ.

- უახლესი ტურნირი?

– თბილისის გრანდ სლემი, რომელიც ძლიან მასშტაბური შეჯიბრია. 3 ივნისს გაიმართება.

_ როგორია შენი თავისუფალი დღე, როცა ძიუდო არაა შენს ცხოვრებაში?

–ძიუდო სულაა ჩემ ცხოვრებაში, თუ არ ვჭიდაობ და შეხვედრისთვის არ ვემზადები, მაინ ვცდილობ, ინფორმაციულად გავეცნო სხვადასხვა ამბებს, სიახლეებს ძიუდოს სასპორტო ცხოვრების შესახებ. ყველგან ძიუდოა-სახლშიც, ქუჩაშიც, ურთიერთობებშიც. ვცდილობ, თავისუფალი დროის შემთხვევაში, სანადიროდ წავიდე, მეგობრებთან ერთად გავატარო დრო და დავასვენო სხეული და გონება.

- რას ნიშნავს ხაშური შენთვის?

- ხაშური არის ქალაქი, სადაც ყოველთვის ვბრუნდები, სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი ემოციაა. ყველაფერი პირველი ხაშურს უკავშირდება, ხაშურის გარეშე ლუკა წარმოუდგენელია.

- რამდენიმე წლის წინ, ცოტა არაჯანსაღი დამოკიდებულება იყო გუნდში, საქართველოს ნაკრებს ვგულისხმობ?, როგორი სიტუაციაა დღეს?

-დღეს ყველაფერი კარგადაა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

- ვინაა შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?

- ჩემი ოჯახი, მამა და ძმები, რომლებიც თვითონაც სპორტსმენები იყვნენ და ჩემს ყველა გამოსვლას, პროფესიული კუთხითაც უყურებენ. დედა ამ დროს, ცდილობს საოჯახო საქმეებით დაკავდეს, ყურადღების გადასატანად, რადგან ძალიან ემოციურია.

-ამ ეტაპზე, ალბათ, არც ფიქრობ და ამაზე საუბარიც ნაადრევია, თუმცა, მაინც სად ხედავს მომავალში ლუკა მაისურაძე თავს?

-პოლიტიკაში ნამდვილად არა, ჩემი ბიზნესსაქმიანობა მექნება და გავაკეთებ იმას, რაც ყველაზე კარგად გამომივა, შრომის გარეშე მე ვერ გავძლებ. ამ ეტაპზე, ყველაფერი სპორტს უკავშირდება, რადგან ვფიქრობ, ყველაფერი ჯერ წინაა და მთავარი სიტყვა არ მითქვამს ჩემს კარიერაში.

თ. ჯავახიშვილი

ჭადრაკი

რეგიონული ტურნირი გავლილია - წინ საქართველოს პირველობაა

ამ დღეებში, გორში, რეგიონული ტურნირი გაიმართა, სადაც 8-10 და 12 წლის მოჭადრაკეებში ის გამარჯვებულები უნდა გამოვლენილიყვნენ, რომლებიც, ზაფხულში, საქართველოს პირველობაზე გამოვიდოდნენ. ტურნირში ხაშურის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმაც მიიღეს მონაწილეობა (მწვრთნელი ალექსანდრე ჭადაშვილი) და ოთხმა მათგანმა პროგრამა მინიმუმიც შეასრულა - ისინი საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. ესენია ანდრია კახიშვილი (10 წლის, მე-3 ადგილი), მარიამ მჭედლიშვილი (10 წლის, მე-4 ადგილი), საბა ტაბატაძე და ალექსანდრე აკოფაშვილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკოფაშვილის გამოსვლა, რომელმაც მართლაც ფურორი მოახდინა. საქმე იმაშია, რომ ალექსანდრე ჯერ მხოლოდ 5 წლისაა. იგი 8 წლიანებში იღებდა მონაწილეობას და 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა დააგროვა. სპეციალისტები უნიჭიერეს ბავშვს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და როგორც მისმა მწვრთნელმა ბატონმა ალექსანდრე ჭადაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, თუ მან პროგრესი ასეთივე ტემპით გააგრძელა, მისგან დიდი მოჭადრაკე დადგება. იმედი გვაქვს, ასე იქნება!

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.